L-29
1928

34(05)
L-29

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. თებერვლის 17. № 1 ნაწილი პირველი

383

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

1. დადგენილება № 1 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-12 მუხ. შენიშვნის შეცვლის შესახებ.

2. დადგენილება № 2 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ.

3. დადგენილება № 3 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—თამასუქის დებულების მე-2 მუხლისათვის დანართის დამატების შესახებ.

4. დადგენილება № 4 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებულ სანოტარო ქვეგანყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებულ სანოტარო ქვეგანყოფილების შესახებ.

5. დადგენილება № 5 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლის შეცვლის შესახებ.

6. დადგენილება № 5 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 210 მუხლისათვის „ი“ პუნქტის დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დადგენილება № 7 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სათემო საბჭოებისა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და მოქალაქეთა საზოგადო კრებების დებულების 54 მუხლისათვის „ი“ პუნქტის დამატების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

8. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამის“ დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამი“-ს შესახებ.

9. დადგენილება ს. კ. ს.—ჟეტონებისა, პაწია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა, საქველმოქმედო მარკებისა და ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელების წესის შესახებ.

10. დადგენილება ს. კ. ს.—საგადასახადო ინსპექტორების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საგადასახადო უბნებში საქმის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენის წესების დამტკიცების შესახებ.

11. დადგენილება ს. კ. ს.—დაწესებულებათა მიწერმოწერაში, როგორც ურთიერთ შორის, ისე უმაღლეს დაწესებულებებთან, ზომა-წონის აღნიშვნისათვის მეტრული სისტემის შეფარდების შესახებ.

12. დადგენილება ს. კ. ს.—კომუნალურ განყოფილებათა მიერ სავაჭრო სადგომების საიჯარო ქირის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დაწესებული საურავის უკიდურესი რაოდენობის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

1. დადგენილება № 1 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-12 მუხ. შენიშვნის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-12 მუხ. შენიშვნის რედაქცია („მოამბე“ 1925 წ. № 12) შეიცვალოს შემდეგნაირად:

შენიშვნა. საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დადგენილება ა) აღნუსხვისა და ანგარიშგების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტივებისა და შემოკლების შესახებ, ბ) ზედმეტ ორგანოთა და წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შესახებ, გ) ზედმეტი შტატების შემცირების შესახებ, დ) ზედნადები ხარჯების შემცირების შესახებ, ე) დაწესებულებათა და საწარმოთა ცალკე ნაწილების საორგანიზაციო სტრუქტურის შეცვლის შესახებ და ვ) სადისციპლინო გადასახდელის დადების შესახებ, აგრეთვე თანამდებობის პირთა გადაყენებისა და დათხოვნის შესახებ აშკარა უთადარიგობისა, ბიუროკრატიზმისა და გაჭიანურებისათვის, საბოლოოა და მისი შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსთვის; უკეთუ დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელნი არ დაეთანხმებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წინადადებას სხვა რამ საკითხზე, ისინი ვალდებულ არიან დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულ ინსპექციას თავისი მოსაზრებანი.

უკეთუ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ განზრახულ ღონისძიებათა განხორციელება მომქმედი კანონებისა და მთავრობის განკარგულების შეცვლას იწვევს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი შეიტანს თავის წინადადებას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში ან საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოში კუთვნილისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 10.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ"-ის მე-16 ნომერში 1928 წ. იანვრის 20.

---

2. დადგენილება № 2 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად სახალხო მხაჯულთა გაწვევის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ვიდრე შეცვლილ და შევსებულ იქნებოდეს საქართველოს სსრ სასამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლოს წყობილების დებულების სათანადო მუხლები, სახალხო მსაჯულთა გაწვევისათვის მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად მიღებულ იქნეს შემდეგი წესი:

1. სახალხო მსაჯულთა სია ცალკე სამაზრო სასამართლოსათვის და ცალკე სახალხო სასამართლოს თვითეულ უბნისათვის შედგენილ იქნება წელიწადში ერთხელ, იანვრის პირველისათვის იმ ვარაუდით, რომ სამაზრო სასამართლოზე მოდიოდეს არა ნაკლებ 100 კაცისა, ხოლო სახალხო სასამართლოს თვითეულ უბანზე—ორასი კაცი. ორი თვით ადრე აღნიშნულ ვადამდე განსაკუთრებული კომისია სამაზრო ცენტრში სათანადო მსაჯულთა რიცხვს სამაზრო სასამართლოსათვის და სახალხო სასამართლოს უბანთა რიცხვის მიხედვით, გაანაწილებს სახელმწიფო დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთა, თემთა და მაზრის ტერიტორიაზე მყოფ ჯარის ერთეულთა შორის.

შენიშვნა. სამაზრო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიაში შეიტანება ისეთი პირები, რომელნიც შეეფერებიან სასამართლოს წყობილების დებულებაში აღნიშნულ საერთო პირობებს და, გარდა ამისა, რომელთაც აქვთ სახელმწიფო, პროფესიონალურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობის ერთ წლისაზე არა ნაკლები სტაჟი.

2. განმანაწილებელი კომისიაში შევლენ: თავმჯდომარედ—ადგილობრივი სამაზრო (საქალ`ქო) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ხოლო წევრებად—სამაზრო მოსამართლე, მაზრის პროკურორი და ორი წარმომადგენელი ქ. ტფილისში—საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ხოლო ადგილებზე—პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო ბიუროსი. განაწილება დაახლოვებით შემდეგ ანგარიშით უნდა მოხდეს: ქ. ტფილისსა, ბათომსა, ფოთსა და სოხუმში მსაჯულთა 65% უნდა იყოს მუშებისაგან, 5% სოფლელებისაგან, 15% ჯარის ერთეულებიდან და 15% მოსამსახურეთაგან; მაზრაში, რომელიც წარმოადგენს საფაბრიკო საქარხნო ცენტრს—50% მუშებისაგან, 25% სოფლელებისაგან, 15% ჯარის ერთეულებიდან და 10 მოსამსახურეთაგან, ხოლო ყველა სხვა მაზრებში 65% სოფლელებისაგან, 15% მუშებისაგან, 10% ჯარის ერთეულებისაგან და 10% მოსამსახურეთაგან. განაწილების ნუსხა გაეგზავნება სამაზრო სასამართლოს და სათანადო უბნის სახალხო სასამართლოს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს, ჯარის ერთეულს და თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

3. განაწილების ნუსხის მიღებისთანავე პროფესიონალური კავშირი და თემის აღმასრულებელი კომიტეტი, თავის მხრით, გაანაწილებს სახალხო მსაჯულთა რიცხვს, რაც მას შეხვდება, სათანადო ცალკე საწარმოთა, დაწესებულებათა, თემის აღმასრულებელ კომიტეტთა და სოფლის საბჭოთა შორის, რომელნიც მოახდენენ სახალხო მსაჯულთა არჩევანს შემდეგი წესით:

ა) საწარმოსა და დაწესებულებაში—საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტისა და ადგილკომის მეშვეობით, რომელნიც აარჩევენ მსაჯულთ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ბ) სოფლად—სოფლის საბჭოებისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მეშვეობით, რომელნიც აარჩევენ მსაჯულთ სოფლელთა საერთო კრებაზე თემის ცენტრში ან სოფელში.

მსაჯულთა ამრჩევი ორგანო ამორჩეულ კანდიდატთა სიას გაუგზავნის სამაზრო კომისიას და, გარდა ამისა, სამაზრო და სათანადო სახალხო სასამართლოს კუთვნილებისამებრ.

4. სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს ჯარის ერთეულებში, კომისიისაგან (პუნქ. 1) მიღებული განაწილების ნუსხის მიხედვით, აარჩევს სამხედრო მსახურთა საერთო კრება პოლიტგანყოფილების ან ჯარის ერთეულის კომისრის ხელმძღვანელობით.

5. სახალხო მსაჯულთა კანდიდატების სიებს არჩევნების ხელმძღვანელი ორგანო საყოველთაო ცნობისათვის გამოჰკიდებს ფაბრიკებისა, დაწესებულებებისა, მუშათა კლუბების, თემის აღმასრულებელი კომიტეტისა (სოფლის საბჭოს), გლეხკომებისა, სამაზრო პროფესიონალური ბიუროს და სხვ. სადგომებში, ამასთანავე ყველა მშრომელს უფლება აქვს სამი დღის განმავლობაში წარუდგინოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს, ადგილკომს, თემის აღმასრულებელ კომიტეტს პოლიტგანყოფილებას ან ჯარის ერთეულის კომისარს, კუთვნილებისამებრ, დასაბუთებული განცხადება სიაში შეტანილ ამა თუ იმ პირის ჩამოცილების შესახებ.

6. მე-5 მუხლში ჩამოთვლილი ორგანოები, ერთ კვირის განმავლობაში დღიდან ჩამოცილების განცხადებისა, ჩამოცილების საკითხს, თავის შენიშვნით, გადასაწყვეტად სამაზრო კომისიას გაუგზავნიან. უკეთუ ჩამოცილების განცხადებას კომისია სამართლიანად სცნობს, ჩამოსაცილებელი პირი სიიდან ამოშლილ იქნება.

შენიშვნა. სამაზრო კომისიის მიერ სახალხო მსაჯულთა სიიდან ამოშლილ პირს უფლება აქვს კომისიის მოქმედება სამი დღის ვადაში სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტში განასაჩივროს.

7. სახალხო მსაჯულთა კანდიდატების სიას არჩევნების ხელმძღვანელი ორგანო გაუგზავნის სამაზრო კომისიას დასამტკიცებლად და, გარდა ამისა, სამაზრო სასამართლოს და იმ უბნის სახალხო სასამართლოს, სადაც არჩევნები მოხდა. სახალხო მსაჯულთა სიის მიღებისას სამაზრო და სახალხო სასამართლო სიის დამტკიცებამდე მოიწვევენ სახალხო მსაჯულთ მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის წესისამებრ იმ სახალხო მსაჯულთა გარდა, რომელთა წინააღმდეგ ჩამოცილება იქნა განცხადებული.

8. სამაზრო კომისია ადგილებიდან სახალხო მსაჯულთა სიების მიღებისთანავე ამოშლის ამ სიებიდან იმ პირთ, რომელნიც რაიმე მიზეზით არ შეეფერებიან სახალხო მსაჯულისათვის სავალდებულო პირობებს, და აგრეთვე იმ პირთ, რომელთა წინააღმდეგ განცხადებული ჩამოცილება დასაკმაყოფილებლად იქნება ცნობილი. ამის შემდეგ სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა სიებს, იმის აღნიშვნით, რომ ეს სიები დამტკიცებულია, გაუგზავნის სათანადო სახალხო სასამართლოებს, ხოლო სამაზრო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგზავნის დასამტკიცებლად სათანადო სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტს. ეს უკანასკნელი სამი დღის ვადაზე გაუგზავნის ამ განსაკუთრებულ სიას სამაზრო სასამართლოს, თანაც აღნიშნავს, რომ სია დამტკიცებულია. სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება სიიდან ამოშლის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

9. დანარჩენში სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა აქნეს სასამართლოს წყობილების დებულება და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სამაზრო სასამართლოს მოწყობის შესახებ.

10. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარს გამოსცეს ამა დადგენილების განსავითარებლად დაწვრილებითი ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

3. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 3 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

თამასუქის დებულების მე-2 მუხლისათვის დანართის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

თამასუქის დებულებას დაემატოს შემდეგი დანართი:

თამასუქის დებულების 2-მუხ. დანართი.

(თამასუქისა, გადაცემის წარწერისა და თამასუქის ტექსტის შესწორების სანიმუშო ფორმები).

ა. მარტივი თამასუქი.

1. მარტივი თამასუქი, რომლის ვადა დგება განსაზღვრულ დღეს.

ქუთაისი, 1927 წ. მაისის 5.

თამასუქი 10.000 მან.

ათას ცხრაას ოცდაშვიდი წლის ივლისის ხუთს ქუთაისის ერთიანი მუშათა კოოპერატივი „კოოპერაცია“ ვალდებულია ამა თამასუქით გადაუხადოს ქ. ტფილისში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სატყეო მრეწველობის ტრესტს „საქტყის ტრესტს“ ათი ათასი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის ერთიანი მუშათა კოოპერატივი „კოოპერაცია“
გამგეობის თავმჯდომარე ი. **პეტრიაშვილი.**
გამგეობის წევრი ნ. **გეგეჭკორი.**

შენიშვნა. ხარვეზი, რომელიც შეიძლება დარჩეს თამასუქის ტექსტისა და თამასუქის გამცემის ხელმონაწერს შორის, უნდა გადაიხაზოს.

2. მარტივი თამასუქი, რომლის ვადა დგება გაცემის დღიდან ამა და ამ დროის გასვლის შემდეგ.

ქალ. ზესტაფონი, 1927 წ. თებერვლის 10.
თამასუქი 2000 მან.

ამა რიცხვიდან სამი თვის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „გლეხობა“ ვალდებულია ამა თამასუქით გადაუხადოს ქ. ტფილისში საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკს ორი ათასი მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „გლეხობის“ რწმუნებულობით, რაც დამოწმებულია ქ. ზესტაფონის სახალხო მოსამართლის მიერ 1927 წლ. თებერვლის 9-ს თარიღითა და 340 №-რით,—

ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე—**ი. ჯაფარიძე.**

3. მარტივი თამასუქი, რომლის ვადა დგება წარდგენისთანავე და რომლითაც ფული გადახდილ უნდა იქნეს ჩერვონცებად სახელმწიფო ბანკის საბანკო ბილეთებით.

ტფილისი, 1927 წ. თებერვლის 1-ს.
თამასუქი 3.000 ჩერვონეცისა საბანკო ბილეთებით.

ამ თამასუქის წარდგენისთანავე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო მამულების ტრესტი ვალდებულია გადაუხადოს ქალ. ტფილისში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს სამი ათასი ჩერვონეცი სახელმწიფო ბანკის საბანკო ბილეთებით.

საქართველოს სსრ სახალხო მამულების ტრესტის გამგე—**კ. კანდელაკი.**

4. მარტივი თამასუქი, რომლის ვადა დგება წარდგენის შემდეგ ამა და ამ დროს.

სოფ. ლია 1927 წ. იანვრის 15.
თამასუქი 1.000 მან.

ორი თვის შემდეგ ამა თამასუქის წარდგენიდან ლიის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „მეურნე“ ვალდებულია გადაუხადოს ქ. ტფილისში საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირს „სოფლისკავშირს“ ათასი მანეთი.

ლიის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „მეურნე“.

ზუგდიდის მაზრის ლიის თემის აღმასრულებელი კომიტეტში 1927 წლ. იანვრის 14-ის თარიღითა და 73 ნომრით დამოწმებული

რწმუნებულობით—**ა. ქარცივაძე.**

5. მარტივი თამასუქი, რომლის ვადა დგება მისი წარდგენისთანავე იმ განსაკუთრებული ვადის აღნიშვნით, რომლის განმავლობაშიაც შეიძლება მისი წარდგენა ფულის გადასახდელად.

ტფილისი, 1927 წ. მარტის 1.
თამასუქი 50.000 მანეთისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი წლის განმავლობაში დღიდან ამა თამასუქის შედგენისა მისი წარ-
დგენისთანავე სააქციო საზოგადოება „ზაკავტომპრომტორგ“ ვალდებულია გა-
დაუხადოს ქალ. ტფილისში სავაჭრო სამრეწველო ბანკს ორმოცდაათი ათასი
მანეთი.

სააქციო საზოგადოება „ზაკავტომპრომტორგ“.
გამგეობის თავმჯდომარე—ა. ბაარ ძე.
გამგეობის წევრი—გ. სიმონიშვილი.

6. მარტივი თამასუქი, რომლის ვადა დგება წარდგენისთანავე, იმ განსა-
კუთრებული ვადის აღნიშვნით, რომლის განმავლობაშიაც შეიძლება მისი წარ-
დგენა ფულის გადასახდელად; ამასთანავე ფული გადახდილ უნდა იქნეს
ოქროთი.

ტფილისი, 1927 წ. მარტის 1.
თამასუქი 50.000 მან. ოქროთი.

ოთხი წლის განმავლობაში დღიდან ამა თამასუქის შედგენისა მისი წარ-
დგენისთანავე სააქციო საზოგადოება „ზაკავტოპრომტორგ“ ვალდებულია გადა-
უხადოს ქ. ტფილისში სავაჭრო-სამრეწველო ბანკს ორმოცდაათი ათასი მანეთი
ოქროთი.

სააქციო საზოგადოება „ზაკავტოპრომტორგ“
გამგეობის თავმჯდომარე—ა. ბადრიძე.
გამგეობის წევრი—გ. სიმონიშვილი.

7. მარტივი თამასუქი, იმ განსაზღვრული სადგომის აღნიშვნით, სადაც
უნდა მოხდეს ფულის გადახდა (მაგ. ბანკი).

ბათომი, 1927 წ. აპრილის 10.
თამასუქი 15.000 მან.

ათას ცხრაას ოცდაშვიდი წლის ოქტომბრის ათს აჭარისტანის საპაიო
ამხანაგობა „აჭარისტანის ვაჭრობა“ ვალდებულია ამა თამასუქით გადაუხადოს
ქ. ტფილისში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის ოლქის კონ-
ტორაში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო
მამულების ტრესტს ხუთმეტი ათასი მანეთი.

აჭარისტანის საპაიო ამხანაგობის „აჭარისტანის ვაჭრობის“ რწმუნებულო-
ბით, რაც სანოტარო წესით დამოწმებულია ბათომის სახელმწიფო სანოტარო
კონტორაში 1927 წლ. იანვრის 2-ს თარიღითა და ამა და ამ №-რით.

გ. ხოფერია.

ბ. შეპირებული თამასუქი.

1. შეპირებული თამასუქი, რომლის ვადა დგება განსაზღვრულ
დღეს, სააქცეპტო წარწერით.

ტფილისი, 1927 წლ. მარტის 10.
თამასუქი 10.000 მან.

ათას ცხრაას ოცდაშვიდი წლის სექტემბრის ათს გადაუხადეთ
ამა თამასუქით ქალ. ტფილისში სააქციო საზოგადოება—„ტფილი
სის ვაჭრობა“-ს ათი ათასი მანეთი.

ტფილისის ერთიანი მუშათა კოოპერატივი „მუშკოოპი“
გამგეობის თავმჯდომარე—ი. გოცირიძე.
გამგეობის წევრი—ა. კაკულია.

აქცეპტშენილია რწმუნებულებით
ა. ბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
სამომხმარებლო ორგანიზაციათა ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირს „ცეკავშირს“.
ტფილისი, როზა ლიუქსენბურგის ქუჩა, 4.

2. შეპირებული თამასუქი, რომლის ვადა დგება ამა და ამ დროის შემდეგ დღიდან მისი შედგენისა, სათამასუქო თანხის ნაწილის აქცეპტის წარწერითა და გადამხდელის (აქცეპტანტის) საცხოვრებელ ადგილას ფულის გადახდით.

სოხუმი, 1927 წ. მაისის 15.
თამასუქი 1.000 მანეთისა.

ოთხი თვის შემდეგ ამა რიცხვიდან გადაუხადეთ ამა თამასუქით იბრაჰიმ ზურაბოვს ათასი მანეთი. ივანე მაქსიმეს-ძე ნინიძე.
სპირიდონ ვასილის-ძე გაჩეჩილაძე.
ქ. ტფილისი.

აქცეპტანტად ნაქმნილია ექვსასი მან. რაოდენობით **ს. გაჩეჩილაძე.**

3. შეპირებული თამასუქი, რომლის ვადა დგება ამა და ამ დროის შემდეგ მისი წარდგენიდან,—სააქცეპტო წარწერით დათარიღებული.

ტფილისი, 1927 წ. აპრილის 1.
თამასუქი 5.000 მანეთისა.

ხუთმეტი დღის შემდეგ ამა თამასუქის წარდგენიდან გადაუხადეთ ქალ. ტფილისში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ზეთის სახდელ და საპნის სახარშ ტრესტს ხუთი ათასი მანეთი.

1927 წ. აპრილის 10-ს აქცეპტანტად ნაქმნილია „მუშკოოპის“-ს რწმუნებულობით (ხელმოწერა).

ტფილისის ერთიან მუშათა კოოპერატივს „მუშკოოპს“, ტფილისი, ჟორესის ქ., 7.

საქართველოს სახელმწიფო კაპრობის საპაიო ამხანაგობა. გამგეობის თავმჯდომარე **ნ. ამირალოვი**, გამგეობის წევრი **ა. ჯაფარიძე.**

4. შეპირებული თამასუქი, რომლითაც ფული გადახდილ უნდა იქნეს საზღვარგარეთ, ორ ნიმუშად.

1-ლი ნიმუში თამასუქისა, რომელიც გაცემულია მხოლოდ სააქცეპტოდ.

ტფილისი, 1927 წ. ივნისის 15.

პირველი ნიმუში. თამასუქი 2000 გირვანქა სტერლინგი.

ათას ცხრაას ოცდაშვიდი წლის ოქტომბრის ოცს გადაუხადეთ ამა პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი თამასუქით, უკეთუ მეორე თამასუქით არ არის გადახდილი, ქ. ლონდონში სააქციო საზოგადოება „იმპორტ"-ს ორი ათასი გირვანქა სტერლინგი.

მოქალაქე ჯონ **ჩემბერსს**, ქ. ლონდონი, ბეკკერ-სტრიტ, № 13.

სახელმწიფო საექსპორტო-საიმპორტო სავაჭრო კონტორა „ზაკგოსტორგ".
გამგეობა:
გამგეობის თავმჯდომარე—**ი. გოცირიძე.**
გამგეობის წევრი—**ა. კაკულია**

შენიშვნა. იმ თამასუქის მეორე გვერდი, რაც მხოლოდ სააქციპტოდაა გაცემული, უნდა გადაიხაზოს.

მე-2 ნიმუში თამასუქისა.

ტფილისი, 1927 წლ. ივნისის 15.

მეორე ნიმუში. თამასუქი 2.000 გირვანქა სტერლინგისა.

ათას ცხრაას ოცდაშვიდი წლის ოქტომბრის ოცს გადაუხადეთ ამა მეორე თამასუქით, უკეთუ პირველი თამასუქით არ არის გადახდილი, ქალ. ლონდონში სააქციო საზოგადოება „იმპორტ"-ს ორი ათასი გირვანქა სტერლინგი.

მოქალაქე ჯონ **ჩემბერსს**, ქ. ლონდონი, ბეკკერ-სტრიტ, № 3.

სახელმწიფო საექსპორტო-საიმპორტო სავაჭრო კონტორა „ზაკგოსტორგ".
გამგეობის თავმჯდომარე—**ი. გოცირიძე.**
გამგეობის წევრი—**ა. კაკულია.**

გ. გადაცემის წარწერები.

1. **სახელობითი.**

გადაუხადეთ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკს. სააქციო საზოგადოება „ტფილისის ვაჭრობა". გამგეობა: **პ. ბრეგაძე** და **ლ. ხუნდაძე.**

2. **საბლანკო.**

„არმენტორგი"-ს რწმუნებულობით—**გ. აგაბაბოვი.**

3. **უკუშეუქცეველობის** წარწერა—სახელობითი.

გადაუხადეთ საერთო საკავშირო კოოპერატიულ ბანკს „ვსეკობანკს", ჩემდა მოუქცევლად. ლევან მიხეილის-ძე **ანთაძე.**

4. **უკუ-შეუქცეველობის** წარწერა საბლანკო.

მიუქცევლად. საიქციო საზოგადოება „ტფილისის ვაჭრობა".
გამგეობის თავმჯდომარე—**პ. ბრეგვაძე.**
გამგეობის წევრი—**ლ. ხუნდაძე.**

5. **მინდობილობის** წარწერა საკრედიტო დაწესებულებათა სახელზე.

აა) გადაუხადეთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს. ვალიუტა ინკასო. საერთო საკავშირო საფეიქრო სინდიკატი. რწმუნებულობით **ა. შაპოშნიკოვი.**

ბბ) გადასახდელი ფულის მიღებას ვანდობთ ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „გლეხობა". რწმუნებულობით **ა. ბერიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. შესწორება თამასუქის ტექსტში.

1. ქ. ტფილისის, 1927 წ. აპრილის 10.
თამასუქი 1.000 მან.

ათას ცხრაას ოცდაშვიდი წლის აგვისტოს პირველს ამა თამასუქით ვალ-
ისყიდარის-ძე
დებული ვარ გადაუხადო ქ. ბაქოში ივანე აკიმის-ძე ოვანესოვს ერთი ათასი მანეთი. წაშლილი „აკიმის-ძე" შეცდომაა. ზეწარწერი „ისყიდარის-ძე", სწორეა.

დავით ბესარიონის-ძე **ასრიევი.**

2. ტფილისი, 1927 წ. თებერვლის 1.
თამასუქი 2.000 მანეთისა.

ამ თამასუქის წარდგენისთანავე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეო-
-„საქტყისტრესტი"-
ბის უმაღლესი საბჭოს სატყეო ტრესტი - ვალდებულია გადაუხადოს ქ. ტფილისში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს ორი ათასი მანეთი. ტექსტში ჩამატებული „საქტყისტრესტი" სწორეა.

საქართველოს სმუს სატყეო მრეწველობის ტრესტი
„საქტყისტრესტი".
ტრესტის გამგე—**ნ. ბრეგაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

4. დადგენილება № 4 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებულ სანოტარო ქვეგანყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებული სანოტარო ქვეგანყოფილების შემდეგი დებულება.

2. გაუქმებულ იქნეს სანოტარო განყოფილებანი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყოფილ ოლქის სასამართლოებთან. ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილი ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების სანოტარო არქივი გადაეცეს ქალ. ტფილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კონტორას, ხოლო დასავლეთ საქართველოს ყოფილი ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების სანოტარო არქივი ქალ. ქუთაისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კონტორას.

3. ამა დადგენილებით დამტკიცებული დებულების სამოქმედოთ შემოღების ვადასა და განხორციელების წესს განსაზღვრავს იუსტიციის სახ. კომისარი.

4. დაევალოს იუსტიციის სახ. კომისარს შეიმუშაოს და წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დადგენილების პროექტი იმ ცვლილებათა შესახებ, რაც, ამა დებულების შემოღების გამო, შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოს წყობილების დებულებასა და იუსტიციის სახ. კომისარიატის დებულებაში.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლო წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილებასთან არსებული სანოტარო ქვეგანყოფილების შესახებ.

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილების და ზედამხველობის განყოფილებასთან არსებობს სანოტარო ქვეგანყოფილება, რომელსაც უშუალოდ განაგებს ამ ქვეგანყოფილების გამგე.

2. სანოტარო ქვეგანყოფილებას დაეკისრება:

ა) სანოტარო დაწესებულებათა ორგანიზაცია და მათი მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა);

ბ) წინასწარი შემუშავება საკანონმდებლო აქტებისა, ინსტრუქციებისა, ცირკულარებისა და განმარტებათა პროექტებისა იმ საკითხების გამო, რაც ნოტარიატს ეხება;

გ) ზედამხედველობა სანოტარო დაწესებულებათა მოქმედებისათვის და ნოტარიატის მომუშავეთა აღნუსხვა;

დ) სანოტარო ორგანოების, მათ შორის სანოტარო მოქმედების აღმსრულებელი სახალხო მოსამართლეებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების რევიზია და ამ ორგანოებისათვის ინსტრუქტორობის გაწევა;

ე) სანოტარო დაწესებულებათა მუშაობის წარმართვა საფინანსო, საბუხჰალტერო, სახარჯთაღრიცხვო და საანგარიშგებო დარგში, საერთო საფუძველ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

ზე, კერძოდ-კი: ა) ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის შედგენა სანოტარო დაწესებულებათა შემოსავლისა და გასავლისათვის და ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისათვის; ბ) შემოსავალ-გასავლის აღნუსხვა; გ) ინსტრუქციებისა და ცირკულარების შედგენა და განმარტებათა მიცემა ისეთ საკითხებზე, რაც საფინანსო მოქმედებას შეეხება.

ვ) ხელმძღვანელობის გაწევა სანოტარო დაწესებულებათა მუშაობისათვის სტატისტიკის დარგში;

ზ) სანოტარო დაწესებულების მიერ დამოწმებული და საზღვარგარეთ გასატანი დოკუმენტებისათვის ვიზის გაკეთება.

3. ქვეგანყოფილების ბუჰხალტერიას დაეკისრება ყველა იმ საკითხის შემუშავება, რაც კი სანოტარო დაწესებულებათა საფინანსო, სახარჯთაღრიცხვო, საანგარიშო და საბუჰჰალტერო ნაწილს შეეხება; შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვათა შედგენა, ფულის ანგარიშების სისტემატიზაცია და შეჯუმლება; შემოწმება იმისა, თუ რამდენად შეესაბამება სანოტარო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა ტიპიურ ნორმას; სანოტარო დაწესებულებისათვის ინსტრუქტიობის ხაწევა საფინანსო და საანგარიშო საკითხებში და ქვეგანყოფილების საფინანსო-საანგარიშო ნაწილის გამგებლობა.

4. სანოტარო ქვეგანყოფილების შენახვისათვის საჭირო ხარჯი უნდა დაიფაროს სანოტარო დაწესებულებაში სანოტარო მოქმედებისა და ტეხნიკური მუშაობისათვის შემოსული გამოსაღებით (გარდა იმ გამოსაღებისა, რაც სათემო აღმასრულებელ კომიტეტში შევა). ეს გამოსაღები შეადგენს იუსტიციის სახ. კომისარიატის სპეციალურ სახსარს. ქვეგანყოფილების ხარჯთაღრიცხვა, ფინანსთა სახალხო კომისართან შეთანხმებით, დამტკიცებულ იქნება იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ და წარედგინება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. ქვეგანყოფილებას აქვს თავისი სახელდახელო ანგარიში ფინანსთა სახ. კომისარიატის სალაროებში და სახელმწიფო ბანკში. ყველა ის სანოტარო განყოფილება, რომელიც ქ. ტფილისის-გარე იმყოფება, მოვალეა ყოველივე არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5-ს რიცხვისა, შეიტანოს ქვეგანყოფილების სახელდახელო ანგარიშზე ის თანხა, რაც კი დარჩება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ყველა ხარჯის გასტუმრებისა და უახლოეს თვისათვის საჭირო ავანსების თავის სახელდახელო ანგარიშზე გადარიცხვის შემდეგ, ხოლო ქ. ტფილისის სანოტარო დაწესებულებანი, რომელთა შენახვისათვისაც საჭირო ხარჯებს სანოტარო ქვეგანყოფილება ეწევა, შემოსულ სანოტარო გამოსაღებს, არა უგვიანეს ერთი კვირის ვადისა, შეიტანენ უშუალოდ ქვეგანყოფილების სალაროში.

6. ნოტარიატის სპეციალური სახსარის განმკარგულებელი იუსტიციის სახ. კომისარია; ხოლო ხარჯებს დამტკიცებული საკვარტალო გეგმის ფარგლებში ეწევა სანოტარო ქვეგანყოფილების გამგე.

7. კვარტალის დამლევს დარჩენილი თანხა, იმ ავანსების გამოკლებით, რაც კი დასჭირდება ხარჯების დაფარვას შემდეგი კვარტალის განმავლობაში, გადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხება ხაზინის შემოსავლად. წლიური ხარჯთაღრიცხვის გასავალს გაანაწილებს კვარტალებზე იუსტიციის სახ. კომისარიატი ფინანსთა სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

5. დადგენილება № 5 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 199. მევახშეობა, ე. ი. ყოველგვარი სესხისათვის ისეთი რაოდენობის პროცენტის გადახდევინება, რაც სპეციალური დადგენილებით განსაზღვრულ უკიდურეს ნორმებს აღემატება, და აგრეთვე წარმოების იარაღისა და საქონლის სარგებლისათვის მიცემა ისეთი სასყიდლის გადახდევინებით, რაც ამა თუ იმ ადგილას არსებულ ჩვეულებრივ რაოდენობას აშკარად აღემატება, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი მსესხებლის გაჭირვების ან შევიწროებული მდგომარეობის გამოყენებით ან და ხელობის სახით, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე სასტიკი იზოლაციით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 31.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დადგენილება № 6 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 210 მუხლისათვის „ი“ პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 210 მუხლს დაემატოს პუნქტი „ი“ შემდეგი შინაარსისა:

„ი) საურთიერთო დახმარების შრომის სალაროს წევრების მიერ ამ სალაროსათვის მიცემულ ვალდებულებაზე.“

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 31.
ტფილისი – სასახლე.

---

7. დადგენილება № 7 ც. ა. კ.

სათემო საბჭოებისა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და მოქალაქეთა საზოგადო კრებების დებულების 54 მუხლისათვის „ი“ პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1925 წლის ივლისის 16-ის თარიღით დამტკიცებული „სათემო საბჭოებისა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და მოქალაქეთა საზოგადო კრებების დებულების“ 54 მუხლს დაემატოს პუნქტი „ი“ შემდეგი შინაარსისა:

ი) მიიღოს, თავის გამგებლობის ფარგლებში, საჭირო ღონისძიებანი, რათა დაცულ იქნეს წითელარმიელთა და მათი ოჯახების ყველა უფლება და ინტერესი, თანახმად „სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის კანონების კოდექსისა“ და იმ დადგენილებები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, ინსტრუქციებისა და ცირკულარებისა, რაც გამოცემულია სათანადო ორგანოების მიერ აღნიშნული კოდექსის დასამატებლად და განსავითარებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 31.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

8. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამი"-ს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამი"-ს შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს 1926 წ. ივლისის 10-ს დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. იანვრის 10.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის „სახელგამი"-ს შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, შემოკლებული სახელწოდებით „სახელგამი" დაარსდება განათლების სახალხო კომისარიატთან მეცნიერული, პოლიტიკური, მხატვრული და სხვა ყოველგვარი ნაწარმოებისა, აგრეთვე სასწავლო ნივთებისა და სახელმძღვანელოების გამოცემისა და გავრცელებისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სახელგამს უფლება აქვს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გამოსცეს და გაავრცელოს ყოველგვარი პერიოდული და არა პერიოდული ლიტერატურა მეცნიერებისა, ხელოვნების და პოლიტიკის დარგში, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი.

შენიშვნა. სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა-გავრცელება შეადგენს სახელგამის მონოპოლიურ უფლებას.

ბ) შეიძინოს, გაყიდოს, მიღოს საკომისიოდ ყოველგვარი ნაბეჭდი ნაწარმოები და საკანცელარიო საქონელი:

გ) გახსნას ყველგან, სსრკ ტერიტორიაზე, სავაჭრო განყოფილება, სააგენტო, საბითუმო და ცალობითი პუნქტი, საწყობი და სხვ.;

დ) იქონიოს საკუთარი სტამბა, ლიტოგრაფია, საკაზმავი სახელოსნო და ყოველგვარი საწარმო, რაც დაკავშირებულია გამომცემლობის საქმესთან;

ე) მიიღოს ყოველგვარი შეკვეთა, რაც-კი გამომცემლობის მიზანს შეესაბამება, გამოიყენოს კრედიტი, დასდოს ხელშეკრულება, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში და სხვ.

3. სახელგამი შეადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს და მას აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება.

4. სახელგამი იმყოფება ტფილისში. სახელგამს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოხატულებით და სავაჭრო მარკა.

II. სახელგამის ძალება.

პასუხისმგებლობის წესი.

5. სახელგამს ეძლევა საწესდებო კაპიტალი, რომლის საორიენტირო რაოდენობა ხუთას ათას მანეთით გამოიხატება.

6. თავის ვალდებულებათათვის სახელგამი პასუხს აგებს მხოლოდ მისი კუთვნილი ქონებით, რაზედაც, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება. სახელმწიფო ხაზინა სახელგამის ვალებისათვის პასუხს არ აგებს.

III. სახელგამის მართველობა.

7. განათლების სახალხო კომისრის კომპეტენციას ეკუთვნის:

ა) წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად სახელგამის საწარმოო-საფინანსო გეგმა;

ბ) წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად ახალ წარმოებით საწარმოთა მშენებლობის გეგმა, აგრეთვე არსებულ საწარმოთა გაწყობილობის დამთავრებისა და გადაკეთების გეგმა;

გ) დანიშნოს და დაითხოვოს გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და ლიკვიდაციო კომისიის წევრები და განსაზღვროს მათი გასამრჯელოს რაოდენობა;

დ) დაამტკიცოს ინსტრუქციები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) დაამტკიცოს ანგარიში, ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიში, მოგების განაწილება, აგრეთვე დაამტკიცოს სალიკვიდაციო ანგარიში და ბალანსი;

ვ) აღძრას საკითხი ამა დებულებისა და საწესდებო კაპიტალის რაოდენობის შეცვლის შესახებ;

ზ) ნება დართოს სახელგამს მიიღოს მონაწილეობა სააქციო საზოგადოებათა და სხვა სავაჭრო-სამრეწველო შენაერთთა დაარსებაში და შეიძინოს ასეთ საზოგადოებათა და შენაერთთა აქციები და პაები, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა ისეთ საზოგადოებებში, რომელნიც მოგებას მიზნად არ ისახავენ, უკეთუ მათი მიზნები სახელგამის მიზნებს შეესაბამება;

ი) მოახდინოს სახელგამის მოქმედების რევიზია და გამოკვლევა;

8. სახელგამის გამგეობა დაინიშნება სამი წევრის შედგენილობით: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და გამგეობის ერთი წევრი.

9. გამგეობა დამოუკიდებლივ აწარმოებს მთლად სახელგამის ოპერატიულ მუშაობას, განაგებს მის საქმეებს და ქონებას, სდებს გარიგებასა და ასრულებს ამა თუ იმ ოპერაციას, რაც-კი სახელგამის გამგებლობის ფარგალში შედის.

10. რათა გამგეობის დადგენილება კანონიერი იყოს, სხდომაში მონაწილეობა უნდა მიიღოს წევრთა უმეტესობამ, მათ შორის თავმჯდომარემ ან მისმა მოადგილემ. გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების მარტივი უმეტესობით. უკეთუ ხმები შუაზე გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. მიღებული დადგენილება ძალაში დაუყოვნებლივ შედის.

11. უკეთუ თავმჯდომარე თანახმა არ არის გამგეობის წევრთა უმეტესობისა, მას უფლება აქვს თავისი პასუხისმგებლობით განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება, ხოლო დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განათლების სახალხო კომისარს შეუთანხმებლობის გარემოება და მის მიერ მიღებული ღონისძიებანი. განათლების სახალხო კომისარს უფლება აქვს გააუქმოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება.

12. მოვალეობათა განაწილება გამგეობის წევრთა შორის მოხდება გამგეობის დადგენილებით მე-7 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად.

13. მთლად სახელგამის მიწერ-მოწერა, თამასუქი, მინდობილობა, ხელშეკრულება, აგრეთვე იურიდიული მნიშვნელობის აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს გამგეობის თავმჯდომარისა, ხოლო, თავმჯდომარის არ ყოფნის დროს, მისი მოადგილის მიერ. მიმდინარე ანგარიშის ჩეკს ხელს მოაწერენ თავმჯდომარე და ბუხჰალტერი; თავმჯდომარის არ ყოფნის დროს—მისი მოადგილე. საფოსტო ამანათისა, ყოველგვარი კორესპონდენციისა, ფულისა და დოკუმენტის მისაღებად საკმარისია გამგეობის ერთ-ერთი წევრის ხელის მოწერა, სახელგამის ბეჭდის დასმით.

14. სახელგამთან არსებობს:

ა) სარედაქციო კოლეგია;

ბ) საგამომცემლო განყოფილება;

გ) სავაჭრო-საწარმოო განყოფილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ბუხჰალტერია და კანცელარია.

სარედაქციო კოლეგია შესდგება 15 წევრისაგან, რომელთაც განათლების სახალხო კომისარი დანიშნავს.

სარედაქციო კოლეგია, საგამომცემლო განყოფილება, სავაჭრო-საწარმოო განყოფილება, ბუხჰალტერია და კანცელარია მოქმედებენ სახელგამის გამგეობის მიერ შემუშავებული და განათლების სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების თანახმად.

IV. სახელგამის რევიზია.

15. სახელგამის მოქმედების რევიზიას განახორციელებს განათლების სახალხო კომისარი, რომელიც საამისოდ მოაწყობს სარევიზიო კომისიას სამი წევრის შედგენილობით.

16. სარევიზიო კომისიის მოვალეობას შეადგენს: შეამოწმოს ამა დებულებით გათვალისწინებული პერიოდული ანგარიშები და ბალანსები, მისცეს დასკვნა ხარჯთაღრიცხვისა და მუშაობის გეგმის, აგრეთვე წლიური ანგარიშის შესახებ მთლიანად. ამ მოვალეობის შესასრულებლად სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს დავთრებისა, გამმართლებელი დოკუმენტებისა, ხელშეკრულებისა და მიწერ-მოწერის წარდგენა; აგრეთვე შეამოწმოს სალაროს ხელთქონებულება.

17. სარევიზიო კომისია თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებს სპეციალურ ინსტრუქციას, რასაც დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისარი.

V. კ რ ე დ ი ტ ი.

18. სახელგამს უფლება აქვს კრედიტი გაიხსნას სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო საკრედიტო დაწესებულებებში.

19. სახსარი სახელგამს ეძლევა აგრეთვე საბიუჯეტო ასიგნვის წესით.

VI. სახელგამის ანგარიშგება და მისი ბალანსის დამტკიცება.

20. საოპერაციო წელიწადი განსაზღვრულია იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

21. ყოველწლიურად სახელგამის გამგეობა წარადგენს განათლების სახალხო კომისარიატში, არა უგვიანეს სამის თვისა საოპერაციო წლის დამთავრებიდან, განსახილველად და დასამტკიცებლად, განსაზღვრული წესისამებრ, ანგარიშს, ბალანსს და მოგებისა და ზარალის ანგარიშს.

22. დამტკიცებული ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიში გამოქვეყნებულ იქნება საჯარო ანგარიშგების წესებით განსაზღვრული წესისამებრ.

VII. მოგების განაწილება.

23. ყოველწლიურად, განსაზღვრული წესისამებრ, წლიური ანგარიშისა და ბალანსის დამტკიცებისას, სახელგამის მოგებიდან პირველ რიგში გადაიდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანარიცხი საშემოსავლო გადასახადისა და ამ გადასახადის ადგილობრივი ზედნართის გასასტუმრებლად.

მოგების დანარჩენი ნაწილი, უკეთუ სახელგამის ბალანსით ნაჩვენები იქნება წარსული წლების ზარალი, მიიქცევა ამ ზარალის დასაფარავად.

24. უკეთუ ბალანსით ნაჩვენები არ იქნება წარსული წლების ზარალი, მოგების დარჩენილი ნაწილი განაწილებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) 10% გადარიცხება მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდში,

ბ) 10% გადაირიცხება ამორტიზაციისათვის,

გ) 10% გადაირიცხება სარეზერვო კაპიტალში, ვიდრე იგი მიაღწევდეს საწესდებო კაპიტალის ნახევრამდე,

დ) 20% გადაირიცხება მაკულატურისათვის,

ე) მოგების დანარჩენი ნაწილი მიიქცევა სახელგამის გამოცემათა გაიაფებისა და მის საწარმოთა გაფართოებისათვის.

25. სარეზერვო კაპიტალის დანიშნულებაა დაჰფაროს სახელგამის წლიური ბალანსით ნაჩვენები ზარალი. საწესდებო კაპიტალის ნახევრამდე მიღწევის შემდეგ სარეზერვო კაპიტალი შეიძლება გადარიცხულ იქნეს სახელგამის საწესდებო კაპიტალში ამა დებულების მე-7 მუხლის „ე“ პუნქტის წესისამებრ.

VIII. სახელგამის ლიკვიდაცია.

26. სახელგამის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით. ლიკვიდაციას მოახდენს განათლების სახალხო კომისრის მიერ დანიშნული ლიკვიდაციო კომისია.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-10 №-ში 1928 წ. იანვრის 13.

---

9. დადგენილება ს. კ. ს.

ჟეტონებისა, პაწია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა, საქველმოქმედო მარკებისა და ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელების წესის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჟეტონებისა, პაწია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა, საქველმოქმედო მარკებისა და ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელება შეუძლიან მხოლოდ:

ა) სახელმწიფო დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას ზემოაღნიშნული საგნების გამოშვებაზე ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოს ორგანოთა მიერ მიცემული ნებართვის რეგისტრაციის შემდეგ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ან სამაზრო ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ხოლო, სადაც იგი არ არსებობს, სამაზრო მილიციის სამმართველოში, კუთვნილებისამებრ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კერძო პირს, თუნდაც იგი არ იყოს საამისოდ უფლებამოსილი კონტრაგენტი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა,—„ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანოებისაგან აღნიშნული საგნების გასავრცელებლად ნებართვის მიღების შემდეგ.

2. გამომცემლობის მიერ თავისი რწმუნებულისათვის მიცემული მოწმობა ბეჭდვითი ნაწარმოებზე ხელის მოწერის მისაღებად და ამ ნაწარმოების გასავრცელებლად, აუცილებლად გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში:

ა) ცენტრალურ გამომცემლობის მოწმობა—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში;

ბ) სხვა გამომცემლობის მოწმობა კი—სათანადო სამაზრო ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ხოლო, სადაც იგი არ არსებობს, სამაზრო მილიციის სამმართველოში.

3. ჟეტონებისა, პაწია ბაირაღებისა, ბელადების სურათებისა და საქველმოქმედო მარკების, აგრეთვე ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელებას უნდაჰქონდეს მხოლოდ ნებაყოფლობითი ხასიათი.

4. ინსტრუქციას ამ დადგენილების შესაფარდებლად გამოსცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. იანვრის 18.
ტფილისი—სასახლე.

---

10. დადგენილება ს. კ. ს.

საგადასახადო ინსპექტორების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საგადასახადო უბნებში საქმის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენის წესების დამტკიცების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგადასახადო გარეგანი ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ 1926 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 67 №-ით) მე-12 მუხ. განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები — საგადასახადო ინსპექტორების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საგადასახადო უბნებში საქმის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ე ბ ი

საგადასახადო ინსპექტორების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საგადასახადო უბნებში საქმის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენის შესახებ.

1. სახელმწიფო პირდაპირი გადასახადების განაკვეთების გამოანგარიშების მუშაობის დამთავრების შემდეგ, პირდაპირი გადასახადების ინსპექტორები მოვალენი არიან, ერთი თვის განმავლობაში, წარუდგინონ ხოლმე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ცნობები გადამხდელთა რიცხვისა და გაწერილი გადასახადების თანხის შესახებ მათ უბნებში.

შენიშვნა. დამატებითი დაბეგვრის ასეთივე ცნობები ინსპექტორებმა უნდა წარადგინონ ორი კვირის განმავლობაში დაბეგვრის დამთავრების შემდეგ.

2. ყველა ცვლილება, რაც-კი უმაღლესი ორგანოების დადგენილებით შეტანილ იქნება გადასახადის განაკვეთებში, ინსპექტორებმა უნდა აცნობონ აღმასრულებელ კომიტეტებს ნახევარ-ნახევარ წლობით არა უგვიანეს ნახევარწლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3. გადასახადის შეტანისათვის დაწესებულ ვადების გასვლის შემდეგ ინსპექტორებმა ერთი თვის განმავლობაში უნდა წარუდგინონ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ცნობები შეტანილი, დარჩენილი და ნარჩენში გადარიცხული თანხების რაოდენობის შესახებ და აგრეთვე აღნიშნონ, თუ რა ღონისძიება იქნა მათ მიერ მიღებული ნარჩენას გადასახდევინებლად.

4. შემდეგი პერიოდების ნარჩენის მოძრაობის შესახებ ინსპექტორები წარუდგენენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ამა წესების მე-3 მუხლში გათვალისწინებულ ცნობებს კვარტალობით, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

5. საგადასახადო წლის დამთავრების შემდეგ ინსპექტორები წარუდგენენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს მიმოხილვას თავიანთი უბნების მოქმედების შესახებ, თანაც აღნიშნავენ, რა ეკონომიურ მდგომარეობაში არიან ეს უბნები.

6. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება არა აქვს უშუალოდ ჩაერიოს საგადასახადო გარეგან ზედამხედველობის მუშაობაში. ყველა იმ ნაკლულოვანებას, რაც შენიშნულ იქნება პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადების ინსპექტორის მუშაობაში, აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სათანადო ღონისძიების მისაღებად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. იანვრის 19.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დადგენილება ს. კ. ს.

დაწესებულებათა მიწერმოწერაში, როგორც ურთიერთ შორის, ისე უმაღლეს დაწესებულებებთან, ზომა-წონის აღნიშვნისათვის მეტრული სისტემის შეფარდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციას, აგრეთვე კოოპერატიულ ცენტრს ყოველგვარ მიწერ-მოწერაში, შეძლებისდაგვარად, ზომა-წონა აღნიშნონ მეტრული სისტემით; ხოლო უმაღლეს დაწესებულებისადმი მიმართვაში ზომა-წონა აუცილებლად მეტრული სისტემით აღნიშნონ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო კომისართა საბჭო, ეკონომიური საბჭო და საგეგმო კომისია) საქმეთა მმართველობებს, აგრეთვე რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატს განუხილველად დასტოვონ მათ მიერ მიღებული ყველა ისეთი მიწერ-მოწერა, სადაც ზომა-წონა ნაჩვენები იქნება ძველი სისტემით და ეს მიწერ-მოწერა დაუბრუნონ ხოლმე სათანადო დაწესებულებას აღნიშნული ზომა-წონის მეტრულ სისტემაზე გადასატანად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. იანვრის 31.
ტფილისი—სასახლე.

---

12. დადგენილება ს. კ. ს.

კომუნალურ განყოფილებათა მიერ სავაჭრო სადგომების საიჯარო ქირის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დასაწესებელი საურავის უკიდურესი რაოდენობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი რაოდენობა საურავისა სავაჭრო სადგომების საიჯარო ქირის გადახდის ვადის გადაცილებისათვის:

ა) სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა, პროფესიონალური ორგანიზაციისა და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებისათვის—0,1%-ს რაოდენობით დღეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სამეურნეო ან კომერციულ ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის, აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციისა და შერეული საკაქციო საზოგადოებისათვის—არა უმეტეს 0,25%-სა დღეში;

გ) კერძო პირებისათვის (ფიზიკური და იურიდიული)—არა უმეტეს 0,8%-სა დღეში.

შენიშვნა. საურავის საერთო თანხა ყოველ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენის რაოდენობის 100%-ს.

2. დადგენილება ესე გავრცელდება საიჯარო ურთიერთობის ყველა შემთხვევაზე, იმისდამიუხედავათ, თუ რა ფორმაშია იგი ჩამოყალიბებული, სხვათა შორის ისეთ ხელშეკრულებაზედაც, რომლითაც გათვალისწინებულია საურავის უფრო დიდი რაოდენობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. იანვრის 31.
ტფილისი, სასახლე.

საქართველოს სსრ ... ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ქაღალდი დამზადებულია
ენგურის (**სვანეთის**) სოჭიდან
бумага изготовлена
из Ингурской (СВАНЕТСКОЙ) пихты.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა

შეკვეთა № 987. მთავლიტი 400 ტირაჟი—1500.